

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 21

ქ.თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 29 დეკემბერს. სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ს.აბულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, ამა წლის 27 დეკემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, მარნეულის „არმაზი“-სა და ბოლნისის „ყოჩები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე თემური ჭიჭინაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე გიორგი ნავროზაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე თემური ჭიჭინაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე გიორგი ნავროზაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/